უბრალოდ, „ქაღალდის ნავი“

„ფილმი ეძღვნება საქართველოში მცხოვრებ ყველა ახალგაზრდას, რომელმაც ქვეყანაში არსებული პირობების გამო, ვერ შეძლო საკუთარი თავის რეალიზება და იქნა დეგრადირებული, ასევე, მათ მშობლებს, რომელთაც ვერ შეძლეს მათი გადარჩენა“, — იუწყებოდა აფიშა კინოს სახლში ახალი ქართული ფილმის „ქაღალდის ნავის“ პრემიერის წინ. „აი, განცდა, რომელიც ალბათ აღარასოდეს გამინელდება. ეს ფილმი კი არა, აქციაა, რომელსაც „გაახილეთ გულის თვალები“ უნდა ერქვას, — მღელვარებას ვერ ფარავდა ფილმის ნახვის შემდეგ 17 წლის თორნიკე შანიძე.

25 წლის არაპროფესიონალმა კინორეჟისორმა და სცენარისტმა გიორგი გერსამიამ, რომელიც თურმე მხოლოდ იმიტომ არ თამაშობს ჯოკერს და ფეხბურთს, რომ წაგება არ უნდა, მაყურებელთა გულები მოიგო. „ქაღალდისნაველებს“ კინოს სახლში შევხვდი.

გიორგი გერსამია: — პროფესიით ეკონომისტი ვარ, უნივერსიტეტი ოჯახის გულის მოსაგებად დავამთავრე, თორემ მთელ დღეებს თეატრალურ ინსტიტუტში ვატარებდი. სულ ფილმების გადაღებაზე ვოცნებობდი. მერე უცებ, ორი წლის წინ, გენიალური რეჟისორის, კვენტინ ტარანტინოს ბიოგრაფია წავიკითხე — არაპროფესიონალმა ძლივს გადაიღო ფილმი და როცა გასამჟღავნებლად წაიღო, ფირი დაუწვა. არ შედრკა, თავიდან დაიწყო ყველაფერი და დღეს მას მსოფლიო იცნობს. ამით შეგულიანებული სცენარს მივუჯექი ჩემს მეგობარ ლაშა პაპუაშვილთან ერთად და 2000 წლის 15 თებერვალს, დავიწყეთ ფილმის გადაღება. 2002 წლის 29-30 მაისს კი ფილმის პრემიერა შედგა.

— ყველა ქართველი კინორეჟისორი დღეს უფულობას უჩივის და უმოქმედობის გამო, ლამის მივიწყებას მიეცნენ. თქვენ როგორ შეძელით ფილმის გადაღება?

— ფული რომ გვქონოდა, ფილმს ექვს თვეში დავასრულებდით. კარგა ხანს გვედო ფილმი თაროზე და გახმოვანებისათვის დავრბოდით. კახა კახაბრიშვილი დაგვეხმარა, — სტუდია „თეატრონში“ მხოლოდ კვირას მივდიოდით, მთელი დღე ვმუშაობდით და მერე 6 დღე არაფერს ვაკეთებდით. დღეს თითქოს მოდად აქციეს ადამიანებმა ერთმანეთის ლანძღვა. გაიძახიან, არავინ გვერდში არ დაგიდგებაო. ჩვენ ეს არ გვიგრძნია. ქართულ ფილმს იღებენო, რომ გაიგებდნენ, ყველა გვეხმარებოდა. ჩვენ კი იმ ხალხს მადლობა მხოლოდ ტიტრებში მოხსენიებით გადავუხადეთ.

ზაზა ასანიშვილი: — ტაქსი გვჭირდებოდა ფილმში გადასაღებად. ფული არ გვქონდა, რომ ცოტა ხნით დაგვექირავებინა. ერთმა მძღოლმა, — ოღონდ ფილმი გადაიღეთ და რად მინდა თქვენი ფულიო, — გვითხრა. არადა, ოთხი ბიჭი რომ ჩახტა მის მანქანაში და ის კიდევ გარეთ გადმოსვეს, მე და ოპერატორს ხელკავი გაგვიკეთა შეშინებულმა. თან გვკითხა — ამათ ყველას იცნობთ, ხომ არ გაიქცევიანო?

გიორგი: — ის კაცი ქაშუეთის წინ ვნახე. პირჯვარს იწერდა. მოვიკითხე, გაიხარა ფილმის ამბავი რომ გაიგო. აჭარაში კულტურის მინისტრმა ამირან კილურაძემ ისეთი საბუთი გაგვიკეთა, რომ ყველგან გზა ხსნილი გვქონდა. სასტუმრო „ოაზისში“ კი 200-დოლარიანი ლუქსი უფასოდ მოგვცეს. რომელი ერთი სიკეთე გავიხსენო? თუ საქმის კეთება გინდა, უნდა აკეთო კიდეც. არ უნდა დაელოდო, ვინ როდის მოგცემს ფულს. ფილმის ჩვენების შემდეგ გიორგი გვახარიას რეცენზია რომ ვნახე, მთელი ღამე არ მეძინა. კაცმა, რომელიც მსოფლიოს უდიდესი რეჟისორების ფილმებზე საუბრობს, ჩვენს ფილმზეც თქვა თავისი სიტყვა.

— როგორც მითხრეს, თურმე კინოკამერაც არ გქონდათ და ისე აწყობდით ფილმის გადაღების გეგმებს.

— გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გავაკეთეთ განცხადება: „ვიღებთ ფილმებს, ვეძებთ ოპერატორს საკუთარი კამერით.“ ორ დღეში კასპიდან ვინმე დათო ბალახაძე დაგვიკავშირდა — ვიცი, ფული არ გექნებათ, მაგრამ ჯანდაბას, თუ კაი საქმეს აპირებთ, თქვენ გვერდით დავდგებიო“. დადგა კიდეც, დღეს „ქაღალდის ნავის“ არსებობა დათოს დიდი დამსახურებაა.

დათო: — კასპის ტელევიზიაში და მანამდე „ბი-ბი-სი“-ს წარმომადგენლებთან მიღებული საოპერატორო პრაქტიკა კინოში გამოვიყენე. თვითონაც მიკვირს, მწირი ტექნიკური შესაძლებლობებით რაც გავაკეთე.

გიორგი: — მიუხედავად ამხელა დამსახურებისა, დათოს მისი კუთვნილი ჰონორარი კი არა და ფილმის ვიდეოკასეტაც ძლივს მივეცით.

— მგონი კინოფესტივალებზეც იგზავნება თქვენი ფილმი.

— კინოფესტივალების მომწყობი ორგანიზაციის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ წაიღო ფილმი — უცხო ენაზე სუბტიტრებს გავუკეთებთ და ფესტივალებზე გავგზავნითო. ვნახოთ, რა გამოვა. ახლა ფილმის საუნდ-თრექი გვინდა ჩავწეროთ დიჯეი კაბუსთან (ფილმის ერთ-ერთი მონაწილეა) ერთად და კლიპის გადაღებასაც ვაპირებთ. მოგვიანებით კი ძალიან მინდა 15-წუთიანი ფილმით ჩვენი უნიკალური განძის, ქართული ენის მიმართ ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო. ბევრი რამის გაკეთება გვინდა.

— როგორ ფიქრობთ, ჩანაფიქრი სრულად განახორციელეთ?

ლაშა: — („სამეფო უბნის თეატრის“ მსახიობი, ახლახან მანანა თოდაძის კლიპშიც გამოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ფილმში ორი ნაცნობი სახე თამაშობს, ლაშა და კაბუ). ჩვენი მიზანი იყო, მაყურებელს გულწრფელობა ეგრძნო, ჩვენს ადგილზე დაეყენებინა თავი, რათა საბოლოოდ გაეკეთებინა დასკვნა — ფული კარგია, მაგრამ ის არ არის ბედნიერების ერთადერთი საშუალება. ბოროტებით მოპოვებული ფული მხოლოდ უბედურების მომტანია. ჩვენ არ გვიცდია ალვირახსნილი და თავგზაარეული ბიჭები მაყურებლისათვის მოგვეწონებინა. გვსურდა გვეჩვენებინა, რა შეიძლება მოჰყვეს პატარა „ქაღალდის ნავის“ გაშლილ ზღვაში გასვლას, თუ მას მფარველი არ ჰყავს. ჩვენი თაობა, მშობლებთან გაუცხოებული თაობა, შველას ითხოვს, ისევე, როგორც მათი მშობლები ითხოვენ შველას. ამიტომაც ფილმს მათ ვუძღვნით... ჩვენ არაფერს ვიგონებთ, ჩვენს ცხოვრებას ვთამაშობთ კინოში. გვინდოდა, სარკეში ყველას ერთად ჩაგვეხედა.

— ჩაიხედეთ?

— ფილმის გადაღების დაწყებამდე, ალექსანდრეს ბაღში სცენარის განხილვისას ჩავიხედეთ სარკეში.

— ისე ოსტატურად იკეთებთ ფილმში ნარკოტიკს, ისე ეწევით ბალახს, რომ...

— კითხვა გაგიჩნდათ, ნარკომანები ვართ თუ არა? ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ ნარკოტიკს.

გიორგი: — ბავშვობიდან პანიკურად მეშინია შპრიცების. ფილმი იმისათვის გადავიღეთ, რომ ამ ქვეყნის შენების საქმეში, ჩვენ ჩვენი აგური დაგვედო. იქნებ ვინმეს ხმამაღლა ნათქვამად ეჩვენოს ეს! რა ვქნათ, ჩვენ უბრალოდ კარგი სურვილი გვამოძრავებს და გვინდა ადამიანებს სიკეთის კეთებისაკენ ვუბიძგოთ.

ზაზა: — დროა გონს მოვეგოთ. შეეშვით ნარკოტიკს, ბიჭებო, თორემ დავილუპებით და გადავგვარდებით. ქართველი ერი ჯანსაღი უნდა იყოს. ჩვენ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ალბათ გავაკეთებთ კიდეც...

P. S. ბიჭები არ ამხელენ, მაგრამ უკვე საინტერესო წინადადებები აქვთ კინოსამყაროში კომპეტენტური პირებისაგან. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ჩვენ კი სულ მალე გვენახოს ქართული კინოს აღორძინება.

ეკა ლომიძე

კვირა 10 ნოემბერი

შაბათი 9 ნოემბერი

პარასკევი 8 ნოემბერი

ხუთშაბათი 7 ნოემბერი

ოთხშაბათი 6 ნოემბერი

სამშაბათი 5 ნოემბერი

ორშაბათი 4 ნოემბერი

— ველოდები ადამიანს, რომელსაც ვეყვარები და მეყვარება...

კახეთში საგასტროლო მოგზაურობისას „ტრავმირებული“ მომღერალი **თათია გიორგობიანი** „არტ-იმედის“ ოფისში დაგვიანებით მობრძანდა და თავის გასამართლებლად ისეთი რამ მითხრა, რომ ველარ გავუბრაზდი. აქამდე მეგონა, ქართული შოუბიზნესის სამყაროდან მხოლოდ ნეკა სებისკვერაძე შეეჭიდა ჟურნალისტის სპეციალობას, თათია მასთან შედარებით ჯუტყრანი ყოფილა, — იგი თურმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველკურსელია და მეცნიერულ მუშაობასაც ეწევა. ამაზე თვითონ გიამბობთ. რაც შეეხება თათიას ტრავმას — სულაც არ ყოფილა საშიში. თათია დაცემულა და საჩვენებელ თითზე ნალოლიავები ფრჩხილი მოსტყდომია, ამიტომ ახლა „დასახიჩრებული“ თითის გამოჩენის ერიდება. ისე, ეს „ტრავმა“ რა მოსატანია იმ ამბავთან, რაც თათიას გადახდა სარეკლამო პლაკატებისათვის ფოტოების გადაღებისას.

— წამიყვანეს ბოტანიკურ ბაღში. ჯერ ფოტოკამერის წინ პოზირებით ვერთობოდი — სამი ფოტოგრაფი ქალი წამდაუწუმ აჩხაკუნებდა აპარატს და მეც ვანცობდი. მერე ჩემმა მენეჯერმა ბიჭიკო ქადაგიძემ გამომიცხადა — თათია, ახლა წყალში უნდა გადაგიღოთო და ჭაობში ჩასვლა „მიბრძანა“ — ბაყაყებთან, წყალმცენარეებსა და დუმფარებთან ერთად მომიხდა ჭყუმპალაობა, თან შიშისგან გული მისკდებოდა, რამემ არ ჩამითრიოს-მეთქი.

— როგორც ვიცი, სწავლა-განათლებით ძალზე დაკავებული ხარ. როგორღა ახერხებ სიმღერას, როგორ პოულობ დროს?

— სწავლას სკოლიდანვე დიდ დროს ვუთმობდი. სულაც არ ვაპირებ სცენაზე ტიკინასავით უაზროდ დგომას, წიგნის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია.

— ახლა რომელ მწერალს ეცნობი?

— ყველა ასაკს თავისებური გატაცება ახლავს. წინათ სხვა რამ მხიბლავდა. ახლა კი ქართველ და უცხოელ მწერლებს შორის განსაკუთრებულად ვეთაყვანები ილიას, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძეს, დოსტოევსკის, ტოლსტოის, ბუნინს, ცვაიგს და ო'ჰენრის. სწორედ მისი მოთხრობების კითხვით ვარ გართული ამ ბოლო დროს.

— თათია, ალბათ პოეზიაც ძალიან გიყვარს, ასეა?

— რა თქმა უნდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პოეზიასაც კარგად ვიცნობ და არაერთხელ გავჯიბრებივარ კარგ მოლექსეებს.

— სცენაზე ამგვარ ამპლუაში არასოდეს გვინახიხარ...

— ძირითადად, სუფრასთან მიხდება პაექრობა. ღვინოს არ ვსვამ, სამაგიეროდ, ლექსებით ვთვრები. ამასთან, არ მჩვევია რომელიმე ლექსის ამოჩემება — როგორ გუნებაზეც ვარ, ისეთ ლექსებს ვკითხულობ.

— წელან კონსტანტინე გამსახურდია ახსენე. ალბათ ეთანხმები მის ნათქვამს — „სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე“...

— ადამიანის სიცოცხლეში ყველაფრის თავიდათავი სიყვარულია. ჩემს საქმესაც სიყვარული მაკეთებინებს — სიყვარულით დავდივარ, ვსაუბრობ, ვმღერი.

— ბედნიერი შეყვარებულიც ხარ?

— ამ ეტაპზე მხოლოდ შემოქმედებითი საქმიანობით უფრო ვარ გატაცებული. თუმცა... ველოდები ადამიანს, რომელსაც ვეყვარები და მეყვარება...

— მის მოლოდინში კი სამეცნიერო თემებზე მუშაობით და კლუბ „ჯოიში“ სიმღერით კლავ დროს, არა?

— (იცინის) ჰო, უნივერსიტეტში ვმუშაობ თემაზე „მხატვრული მაუწყებლობა დამოუკიდებელ ტელეარხებზე“. ვფიქრობ, საინტერესო ნაშრომი გამომივა. ორშაბათობით კი კლუბ „ჯოიში“ ვმღერი.

— როგორ შეგხვდნენ კახეთში გასტროლებზე?

— ფანტასტიკურად. მერაბ სეფაშვილმა, მე და კრისტი იმედაძემ გავმართეთ კონცერტები თელავში, ყვარელსა და საგარეჯოში. მერაბი ყველას უსაზღვროდ უყვარს, ამიტომაც გასაკვირი არ ყოფილა მისით მაყურებლის აღტაცება. მეამაყებოდა მერაბის გვერდით დგომა და ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეც კარგად მიმიღეს. ჩემი მენეჯერი თვალცრემლიანი მელოდებოდა კულისებში.

სწორედ იმ გასტროლების დროს მივხვდი, რომ ხალხს რეგიონებში განსაკუთრებით სჭირდება სითბო და ყურადღება. კონცერტებზე უამრავი ხალხი მოვიდა. ძალიან უჭირთ მატერიალურად და გაჭირვებით შეკოწიწებული ფული მოიკლეს. მომღერალი ასეთ მაყურებელს რომ არ მიეფეროს, გულწრფელი რომ არ იყოს მასთან, შეუძლებელია.

— შენთან რომ მოვდიოდი, გზად მანქანაში ქართულ სიმღერებს ვუსმენდი. ხუთიდან ოთხი წვიმაზე, ქარსა და თოვლზე იყო. ხომ არ გეჩვენება, რომ ქართული სიმღერა ძალიან „მეტეოროლოგიური“ გახდა?

— მეჩვენება კი არა, მართლაც ასეა. მაგრამ ვფიქრობ, ეს მომღერლებისა და მუსიკოსების კი არა, ტექსტის ავტორთა ბრალია. ყოველივეს მაინც ალბათ ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი განაპირობებს, რაც ტექსტების ავტორებს აფიქრებინებს, რომ თუ მუსიკა მინორულია, ე. ი. სიმღერის ტექსტიც აუცილებლად წვიმაზე, ქარსა და თოვლზე უნდა დაიწეროს. სხვათა შორის, ჩემს რეპერტუარშიც არის ასეთი სიმღერა. ვისურვებ, მალე გამოიდაროს ქართულ ესტრადაზე.

ეკა ლომიძე

ჟურნალ-გაზეთების გამოწერა
თბილისის მაცხოვრებლებისთვის და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73
სახლიდან გაუსვლელად